საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მინისტრ ბ-ნ ლევან დავითაშვილს

ბატონო მინისტრო,

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205295893), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილს N 2-353 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N6 არსებულ საწარმოო ზონის ფარგლებში ახორციელებს სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფის საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს.

პროექტის განხორციელების პროცესში მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბაზისო პროექტით გათვალისწინებული ABONO 251 მოდელის ღუმელის ნაცვლად, რომლის წარმადობაა 250 მ³/სთ, 625 მ³/სთ წარმადობის ABONO 720-ი მოდელის ღუმელის დამონტაჟების თაობაზე. პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით ABONO 251 მოდელის ღუმელი იქნება სარეზერვო და გამოყენებული იქნება მხოლოდ ძირითადი ღუმელის დაზიანების ან პროფილაქტიკის მიზნით გაჩერების შემთხვევაში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მუხლი მე-5 – მე 12 ნაწილით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. შესაბამისად ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას.

წერილს თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილს N 2-353 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების კორექტირების, ცვლილებების საკითხზე.

პატივისცემით,

შპს "მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს
დირექტორი
თამაზ კოხრეიძე

შპს მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი
205295893
დოკუმენტებისათვის

თბილისი 26 აგვისტო 2019 - №62

№ 12620
"04" 09 2019 წ.